ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4114943

ნომერი: AR1620259

თარიღი : 01.08.2018

გაცემის თარიღი : 15.08.2018

გაცნობის თარიღი : 19.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N55 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N55ა ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N57 ; ქალაქი თბილისი , კონსტანტინე სტანისლავსკის ქუჩა N1ა; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N59;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ცხვედიანი პ/ნ 01024026453
- თბილისი ს.მგალობლიშვილის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის №1694633 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 1 აგვისტოს AR1620259 განცხადებით მომართა მოქალაქე დავით ცხვედიანმა რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის №1694633 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის №1694633 გადაწყვეტილებით, #01.13.05.003.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი:4118კვ.მ;) სავაჭრო შენობა–ნაგებობის (მაღაზია) აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. რის შემდგომაც მოხდა საკადასტრო ერთეულების (01.13.05.003.085, 01.13.05.003.087, 01.03.05.003.077) გაერთიანება ერთ საკადასტრო ერთეულად (01.13.05.003.136) და 2017 წლის 14 თებერვლის (№3393557 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. შემდგომ კვლავ მოხდა საკადასტრო ერთეულების (01.13.05.003.136 , 01.13.05.003.147 , 01.13.05.003.149) გაერთიანება ერთ საკადასტრო ერთეულად (01.13.05.003.153) , შემდგომ კი საკადასტრო ერთეულების (01.13.05.003.153 და 01.13.05.003.151) გაერთიანება ერთ საკადასტრო ერთეულად (ს/კ : 01.13.05.003.374). გაერთიანების შემდგომ საკადასტრო ერთეული 01.13.05.003.374 გაიმიჯნა ორ ნაკვეთად და წამოიქმანა ##01.13.05.003.155 , 01.13.05.003.154 საკადასტრო ერთეულები.
დღეის მდგომარეობით განმცხადებელი ითხოვს 2015 წლის 6 თებერვლის №1694633 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და 01.13.05.003.154 საკადასტრო კოდის დაფიქსირებას განახლებული საკადასტრო გეგმითა და მისი მონაცემებით

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის №1694633 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის №1694633 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა: საკადასტრო კოდი # 01.13.05.003.154 ფართობი 6336 კვ.მ, (რეგისტრაციის ნომერი #892018398457; რეგისტრაციის თარიღი 16/05/2018 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018455484, რეგისტრაციის თარიღი 28/05/2018 წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 თებერვლის №1694633 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.